



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

25 აგვისტო 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 120

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფში მოწვეულ პირთა საქმიანობისა და ანაზღაურების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფში მოწვეულ ტურიზმისა და კურორტების ასოციაციის „პონტო“-ს პრეზიდენტს გურამი იობიშვილს დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით, მოამზადოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ანალიზისა და პროგნოზირების კონცეფცია.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფში მოწვეულ ტურიზმისა და კურორტების ასოციაციის „პონტო“-ს პრეზიდენტს გურამი იობიშვილს მიეცეს თვეში 420 ლარი შრომის ანაზღაურების სახით, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

3. ბრძანება გამოქვეყნებისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი